სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

MES 0 23 0001463871

30/10/2023

საერთაშორისო ურთიერთობების რუსულენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების მიერ ქართული ენის ფლობის დონის განსაზღვრის მიზნით ტესტირებისა და გასაუბრების ჩატარების შესახებ

”უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის, საერთაშორისო ურთიერთობების რუსულენოვანი საბაკალავრო საგანმამათლებლო პროგრამის, აღნიშნული პროგრამის სტუდენტების განცხადებებისა და სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანის, პროფესორ ირაკლი გაბისონიას მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, საერთაშორისო ურთიერთობების რუსულენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების მიერ ქართული ენის ფლობის დონის განსაზღვრის მიზნით

ვბრძანებ:

1. დაევალოს საგამოცდო და ელექტრონული სასწავლო რესურსების ცენტრს (ხ. ჟვანია) რუსულენოვანი საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობის შესაბამისად ჩაატაროს ტესტირება ქართულ ენაში (B1 დონე) 2023 წლის 31 ოქტომბერს 16.00 საათზე №2 კომპიუტერულ ცენტრში (მის.: მ. კოსტავას ქ. №68, სტუ-ს პირველი კორპუსი, პირველი სართული);
2. საპრეტენზიო განცხადებების მიღება მოხდეს 2023 წლის 31 ოქტომბრის 16.30 საათიდან 01 ნოემბრის 12.00 საათამდე გამოცდის ჩატარების ადგილზე. საბოლოო შედეგები აპელაციის გათვალისწინებით გამოქვეყნდეს 2023 წლის 02 ნოემბერს 14.00 საათზე სტუ-ის ვებგვერდზე;

3. იმ სტუდენტებთან, რომლებიც წარმატებით გაივლიან ტესტირებას (მინიმალური დადებითი შეფასება 51 ქულა), პროგრამაზე დაშვების წინაპირობის შესაბამისად ჩატარდეს გასაუბრება ქართულ ენაში 2023 წლის 03 ნოემბერს 11.00 საათიდან სტუ-ის ადმინისტრაციულ კორპუსში (მის.: მ. კოსტავას ქ. №77), ცენტრალურ ბიბლიოთეკაში. შედეგები გამოქვეყნდეს სტუ-ის ვებგვერდზე 2023 წლის 03 ნოემბერს;
4. საპრეტენზიო განცხადებების მიღება მოხდეს 2023 წლის 06 ნოემბრის 12.00 საათამდე სტუ-ის კანცელარიაში. საბოლოო შედეგები აპელაციის გათვალისწინებით გამოქვეყნდეს 2023 წლის 07 ნოემბერს 14.00 საათზე სტუ-ის ვებგვერდზე;
5. მე-3 პუნქტში მითითებული გასაუბრების ჩატარების მიზნით შეიქმნას კომისია შემდეგი შემადგენლობით:

- ლავრენტი გუდავაძე, რექტორის მრჩეველი – კომისიის თავმჯდომარე;
- მურმან თავდიშვილი, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის კულტუროლოგიის აკადემიური დეპარტამენტის პროფესორი – კომისიის წევრი;
- თამარ წერეთელი, სასწავლო პროცესების მართვის სამსახურის უფროსი – კომისიის წევრი;
- დავით მახვილაძე, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი – კომისიის წევრი;
- ნონა გოგსაძე, სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის მოადგილე – კომისიის წევრი;
- ირაკლი გაბისონია, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანი – კომისიის წევრი;
- მირანდა გურგენიძე, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი – კომისიის წევრი.

6. მე-2 და მე-4 პუნქტებში მითითებული პრეტენზიების განხილვის მიზნით შეიქმნას საპრეტენზიო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

- ზურაბ გასიტაშვილი, რექტორის მოადგილე - კომისიის თავმჯდომარე;
- ეკატერინე შაკიაშვილი, საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებების ფაკულტეტის ქართული ფილოლოგიის აკადემიური დეპარტამენტის პროფესორი (ქართული ენა) – კომისიის წევრი;
- ხათუნა მხეიძე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე – კომისიის წევრი;
- ბექა მაისურაძე, სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი – კომისიის წევრი;
- გიორგი აბრამიშვილი, სასწავლო პროცესების მართვის სამსახურის უფროსის მოადგილე – კომისიის წევრი;

7. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ვიცე-რექტორს ლ. კლიმიაშვილს;
8. ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისათვის უზრუნველყოს საქმის წარმოების დეპარტამენტმა;
9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ძალაში შესვლიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №64).

ვიცე-რექტორი
კლიმიაშვილი ლევან